

## სახაზინო სამსახურის

### ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს 2016 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 5 436 057.5 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 4 766 331.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 124 630.2 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 43 281.3 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 501 815.0 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-ივლისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (4 766 331.0 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (6 250 837.2 ათასი ლარი) 76.3%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 831 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 514 677.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 77.4%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 295 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 782 749.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 77.7%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 485 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 096 493.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 73.8%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (686 256.8 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (810 000.0 ათასი ლარი) 84.7%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 1.8 ათასი ლარი.

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 464 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 345 100.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 67.7%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 742 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 750 129.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 63.8%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 594 971.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (722 000.0 ათასი ლარი) 82.4%-ია;

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 55 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 38 215.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 69.5%-ია;

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ივლისში შეადგინა 348 609.3 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 222 329.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 100 850.6 ათასი ლარი (რაც გეგმის 45.4%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 54 556.7 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 7 737.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 11 876.3 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 26 680.0 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 197 508.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 150 803.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 76.4%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 10 190.4 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-ივლისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (124 630.2 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (162 800.0 ათასი ლარი) 76.6%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (25 283.4 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (47 300.0 ათასი ლარი) 53.5%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (99 346.8 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (115 500.0 ათასი ლარი) 86%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 333.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 88.9%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 98 013.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (114 000.0 ათასი ლარი) 86%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 43 281.3 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (44 300.0 ათასი ლარი) 97.7%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 43 279.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (44 300.0 ათასი ლარი) 97.7%.

დებიტორული დავალიანების სახით ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა – 2.2 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 501 815.0 ათასი ლარი (რაც გეგმის – 834 885.5 ათასი ლარის 60.1%-ია); მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 160 595.4 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 341 219.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (768 963.5 ათასი ლარი) 44.4%-ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 341 219.6 ლარი (რაც გეგმის – 493 963.5 ათასი ლარის 69.1%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 219 785.5 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 121 434.1 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 89 102.1 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა

კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-ივლისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 577.4 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომანქანების ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 აგვისტოსთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 461 566.2 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 461 185.0 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 381.2 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 228 919.0 ათასი ლარი, სახაზინო

ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 160 795.5 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 4 766 331.0 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 6 250 837.2 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 4 811 811.5 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 6 451 572.1 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -45 480.5 ათასი ლარი (უარყოფითი), ცხრა თვის გეგმა -200 734.9 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 177 854.6 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 124 630.2 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 302 484.8 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -223 335.1 ათასი ლარი(უარყოფითი), ცხრა თვის გეგმა -588 592.9 ათასი ლარი(უარყოფითი).

### სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 629 628.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 7 038 335.6 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 591 292.7 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 6 425 444.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 5 596 853.0 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 5 180 717.1 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 416 135.9 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 87.1%, ხოლო გეგმის 73.4%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-ივლისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 92.6%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 7.4%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ივლისში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 089 293.5 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 006 811.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 829 540.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 82.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 76.29%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 825 860.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 680 550.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 614 382.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.3%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 74.4%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 343 773.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 281 716.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 242 385.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.5% და ვალდებულების 86%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 133 567.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (171 630.6 ათასი ლარი) 77.8%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 108 817.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (110 085.6 ათასი ლარი) 98.8%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 232 707.1 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 187 066.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 178 601.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.5%-ს და გეგმის 76.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 33 242.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 29 888.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.9% და ვალდებულების 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 708 583.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 472 324.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (507 841.6 ათასი ლარი) 93% და საგეგმო მაჩვენებლის 66.7%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-ივლისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 449 855.9 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (480 396.4 ათასი ლარი) 93.6%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-ივლისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 776 471.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 174 875.3 ათასი ლარი) 81.7% და საგეგმო პარამეტრის (2 296 347.9 ათასი ლარი) 77.4%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 656 408.0 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 258 326.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 75.9%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 875 438.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 149 416.9 ათასი ლარი) 73.6% და გეგმის (1 149 500.0 ათასი ლარი) 73.6%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 492 315.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 373 527.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (492 315.9 ათასი ლარი) და ვალდებულების (492 302.4 ათასი ლარი) 75.9%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 601 658.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 486 272.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 80.8% და ვალდებულების (486 436.6 ათასი ლარი) 99.97%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 955 006.5 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 773 434.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 698 106.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.3%-ს და გეგმის 73.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 377 038.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 332 417.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 88.2%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 47 414.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 47 7 314.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 47 314.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 550 658.0 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 306 725.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 302 484.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.6%-ს და გეგმის 54.9%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 303 188.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 175 063.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (174 987.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.96% და საგეგმო მაჩვენებლის – 57.7%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 303 316.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 254 914.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 243 198.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.4%-ს და გეგმის – 80.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და გეგმის 71.4%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 760.0 ათასი ლარი) 24.5%-ია, ხოლო ვალდებულების 100%.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 324 081.3 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 251 509.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 239 358.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.2%-ს და გეგმის 73.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 203 660.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (205 778.6 ათასი ლარი) 99%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 35 697.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (45 730.9 ათასი ლარი) 78.1%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 7 469.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 3 979.2 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 2 433.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 759.7 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ – 262.6 ათასი ლარი;
- „ინოვაციური ეკოსისტემების განვითარება (IBRD)“ – 33.8 ათასი ლარი.



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი აგვისტოსთვის შეადგინა 271.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**

2016 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 5 114 296.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 935 907.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 371 197.4 ათასი ლარი) 68.2%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 197 384.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (298 502.1 ათასი ლარი) 66.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 21.1%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 242 325.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (343 713.5 ათასი ლარი) 70.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 25.9%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 501 516.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 403 979.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (5 114 296.3 ათასი ლარი) 7.9%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 765 422.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 554 647.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 314 334.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (421 745.8 ათასი ლარი) 74.5%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (59 208.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (84 268.9 ათასი ლარი) 70.3%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 67 275.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (101 841.4 ათასი ლარი) 66.1%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 822 547.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 506 549.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 61.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (27 046.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (44 627.2 ათასი ლარი) 60.6%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (125 798.3 ათასი ლარი), გეგმის (174 313.4 ათასი ლარი) 72.2% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 485 837.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 271 402.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 55.9%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 36 605.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 25 881.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 70.7%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 42 256.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 26 693.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63.2%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 25 635.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 15 601.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 60.9%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 697 818.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 556 944.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 79.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.9%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 506 413.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (414 249.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 81.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (86 184.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (105 580.2 ათასი ლარი) 81.6%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 26 100.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (35 829.0 ათასი ლარი) 72.8%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 157 122.9 ათასი ლარით, რაც 2016 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (197 541.1 ათასი ლარი) 79.5%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 35 249.5 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (27 050.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 76.7%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 793 547.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 589 983.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74.3% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.5%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 335 634.2 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (382 988.1 ათასი ლარი) 87.6%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 70 542.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (97 090.4 ათასი ლარი) 72.7%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 1 773 777.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 356 586.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.5%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 149 698.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 675 608.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 76.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 378 561.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (500 197.9 ათასი ლარი) 75.7%-ია.

## საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდაშვიდ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 066.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 316.8 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 749.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაჩვიდმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 65 180.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 49 318.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 15 861.8 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ჩვიდმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 129 774.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 120 783.1 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 8 991.8 ათასი ლარი.

## წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 46

233.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 41 678.7 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 7 470.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 310.5 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37 000.0 ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 25 041.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 041.5 ათასი ლარი); სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – 625.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 625.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 41.2 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 41.2 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 11 292.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 7 090.7 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 2 429.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 3 236.1 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 7 090.7 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.